F 383. / 2.

4192/ъ

„ითხვის საზოგადოების“ გამოცემა, № 69.

ბ.12° 586

ეროვნული ბიბლიოთეკა

იავნანამ რა ჰქმნა

ფასი ერთი შაური.

ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 4 კაპეიკად.

ვინც ოცობით—3 კაპეიკად.

იაკობ გოგებაშვილისა.

მეოთხე გამოცემა ცხრა სურათით (11,200 ცალი).

ეს წიგნი ავტორმა სამუდამოდ შესწირა წერა-კითხვის საზოგად.

ტფილისი, 1904.

ელექტრ. მბეჭდავი თავ. გრ. ნიკ. დიასამიძისა, სასახ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ყ ი დ ე ბ ა

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში შემდეგი საკუთარი

წ ი გ ნ ე ბ ი:

ყმაწვილებისათვის:

		კაპ.
ი ა ვ ნ ა ნ ა მ რ ა ჰ ქ მ ნ ა? მეოთხე გამოცემა, **ი ა კ ო ბ ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა** .		5
ა მ ბ ა ვ ი ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო ს ი, რუბაკინისა, თარ. **ბ რ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა**.		50
ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი, მეცამეტე გამოცემა, **ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა** ყდით .		80
ბ ე დ ე ბ ი, ანდერსენისა, თარგ. **თ. ს ა ხ ო კ ი ა ს ი**		10
ბ უ ლ ი ვ ე რ ი ს მ ო ბ ზ ა უ რ ო ბ ა, სვიფტისა სურათებით, ნათარგმნი **ი.** ცისკარაშვილის მიერ, გამოცემა მეორე		30
დ ე დ ა - ე ნ ა, მეცხრამეტე გამოცემა, **ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა**, ყდით .		40
ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ე დ ა ი ნ გ ი ლ ო ქ ა ლ ი, ისტორიული მოთხრობა, **ი.** ბოგებაშვილისა		5
ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, ნაამბობი ყრმათათვის **ბ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს** მიერ, მეორე გამოცემა		25
თ ა ვ - დ ა დ ე ბ უ ლ ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი, ისტორიული მოთხრობანი, **ი.** ბოგებაშვილისა, მეორე გამოცემა		7
კ ო ნ ა, ბუნების მეტყველებისა, მეხუთე გამოცემა, **ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა**		40
კ ო კ ო რ ი, მეცამეტე გამოცემა, მისივე		10
კ რ ი ლ ო ვ ი ს ა რ ა კ ე ბ ი, მესამე გამოცემა, სურათებით, თარგ. **ა კ ა კ ი ს ა**.		30
კ რ ე ბ უ ლ ი ა რ ი თ მ ე ტ ი კ უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს ა, **რ. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა**.		25
კ ე თ ი ლ ი ძ ა ღ ლ ი, მოთხრობა, გამოც. **ბ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ს ა** . .		10
მ ა რ ი ა მ ი, მოთხრობა შმიტტისა, თარგმ. **ს ა ლ ო მ ე შ უ ბ ა თ ე ლ ი ს ა**.		10
მ ა მ ი ს ე რ თ ბ უ ლ ი, მოთხრობა მისივე		15
მ ო ს ა ვ ლ ი ს მ ცვ ე ლ ნ ი ა ნ უ ს ა ს ა ა რ ბ ე ბ ლ ო ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი დ ა ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი, **ი.** ბოგებაშვილისა		20
მ ტ რ ე დ ი, მოთხრობა შმიტტისა, თარგ. **ს ა ლ ო მ ე შ უ ბ ა თ ე ლ ი ს ა**.		10
ო ქ რ ო ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ ე ბ ი, თარგმ. **ე ლ ე ნ ე წ ე რ ე თ ე ლ ი ს ა** . .		15
რ ო ბ ი ნ ზ ო ნ კ რ უ ზ ე, **დ ა ნ ი ე ლ დ ე ფ ო ს ი**, შემოკლებული **ი ა ხ ტ ნ ტ ო ვ ი ს** მიერ, გადმოღებული **ა ნ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს** მიერ, მეორე გამოცემა		30
ს ა ა რ ა კ ო თ ა ვ ბ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი, ისტორიული ამბავი, **ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა**		10

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა, № 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა
839.962.1-32

იავნანამ რა ჰქმნა

ფასი ერთი შაური.

ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 4 კაპეიკად,
ვინც ოცობით—3 კაპეიკად.

F 383/2

იაკობ გოგებაშვილისა.

მეოთხე გამოცემა ცხრა სურათით (11,200 ცალი).

ეს წიგნი ავტორმა სამუდამოდ შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.

ბიბლიოთეკა

ტფილისი, 1904.

ელექტრ. მბეჭდავი თავ. გრ. ნიკ. დიასამიძისა, სასახ. ქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 14 іюля 1904 года.

FS 4127/1

32 дз. (18×13). 5 з.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იავნანამ რა ჰქმნა?

(მოთხრობა)

სამშობლო ღვინისა.

ბილისიდგან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდე, ერთის დღის მოგზაურობის შემდეგ მიადგები ერთს გრძელს მთასა, რომელსაც ჰქვიან Ცივი. Ამ Ცივის მთაზედ რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ, გადაიხედო, შენ თვალწინ ქვემოდ გადაიჭიმება ვეებერთელა ვაკე, რომელსაც ჰფარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა. Ამ ვაკის ზედ შუა წელზედ დაინახავ გრძელს ლაპლაპა ზოლსა, ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ გავლებულსა. Ეს სწორე ვაკე არის Კახეთის ველი, ლაპლაპა ზოლი კი—მდინარე Ალაზანი, რომელიც Კახეთს ჰყოფს ორს თითქმის თანასწორ ნაწილად: აქეთა ნახევარსა ჰქვიან გამოღმა მხარი, იქითას—გაღმა მხარი. გაღმა მხარს საზღვრად უძევს აღმოსავლეთით დიდი და მაღალი მთები და ესენი ჰყოფენ Კახეთს Დაღესტნისაგან, რომელიც იწყება ამ მთებს იქით.

Თუ გაღმა მხარისაკენ თვალს დააკვირვებ, ერთს ადგილას მთის ძირში გაარჩევ დიდს ღელეს, ღრმად შევარდნილს მთაში. Ეს ღელე ახლა სახნავ-სათესი ადგილია. Მაგრამ რომ ახლო მიხვიდე და კარგად გაშინჯო, მიწების მიჯნებზედ ბ განაპირას ადვილად შეამჩნევ ქვითკირის ნაშთებსა. Ეს ნაშთები უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ეს ადგილი ნასოფლარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი ვაშლოვანი.

ნიახ, ძველს დროში სწორედ ამ ადგილას ჰყვაოდა კარგა მოზდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო ალმოსავლეთის მხრივ ის თითქმის ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყესა, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მიწიდგან შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელის სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და ჰმოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო. მართლაც, მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა ქახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ეხლა ქახეთი ჩაფლულია.

ვაშლოვანის ნაპირას, ალმოსავლეთით, ტყის ახლო, იდგა მშვენიერი ორ-სართულიანი სასახლე, ირგვლივ შემკული ლამაზი მოაჯირებითა. ეს სასახლე ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველაძესა, რომელიც განთქმული იყო მთელს ქახეთში თავისი სიმდიდრით და პურადობით. ცოლად მას ჰყავდა ქართლიდგან მოყვანილი ქალი მაგდანი. აგებულებით სუსტი, მაგდანი იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი. მათს სახლში ყოველ დღე იმდენი საჭმელი კეთდებოდა, რომ ორ-სამს სახლობას ეყოფოდა; მაგრამ ხშირად დააკლდებოდათ ხოლმე საჭმელი და გაუმაძღარნი რჩებოდნენ. ამის მიზეზი იყო მეტად კაც-მოყვარე გული მაგდანისა. ის უხვად უგზავნიდა თავისი სახლიდგან სანოვაგეს ყოველს ავადმყოფსა, ღარიბსა და გაჭირვებულსა. ამასთან მაგდანას ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით. მისი ხმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთი სიამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების ჟრუანტელს დაასხამდა, რომ ვინც-კი მას მოისმენდა, თავისს სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ზურაბმაც მშვე-

ნიერად იცოდა თარზედ დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზედ და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზედ უკეთესს ვერას გაიგონებდა.

ზურაბი ⁄ მაგდანი სულ ხუთი-ექვსის წლის ჯვარ-დაწერილნი იყვნენ. შვილად ჰყავდათ ერთად-ერთი ქალი—ქეთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მესამე წელიწადში იდგა. მეტად საყვარელი ბავშვი იყო ქეთო: ლამაზი, თეთრი ბამბის ქულასავით, ცქრიალა, მხიარული და უღალავი მოტიკტიკე. ამასთან ქეთოს საშინლად უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირადაც ამღერებდა და სულ განაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით. ქაცს სწორედ ჩასაყლაპავად მოუნდებოდა ეს ბავშვი. დედ-მამას მასზედ ამოდიოდა მზე და გაგიჟებით უყვარდა.

ლეკები კახეთში.

ჯამლოვანში და საზოგადოთ კახეთში მაშინდელს დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები. ძველის დროიდგან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა; ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის. ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლ-მადიდებელის რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივის ცემისა და გულითადის მეგობრობის მეტი ქართველებს ლეკებისაგან არა მოაგონდებოდათ რა. ამ მეგობრული მეზობლობის გამო ლეკები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ კახეთში, უმეტეს ნაწილად საავაჭროდ. ბასასყიდად გადმოჰქონდათ უფრო ნაბდეულობა და იარაღეულობა, რომლის კეთებაში განთქმულნი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთოს იტაცებენ.

ბოფელს ვაშლოვანში დაიარებოდა კაი ხნიდგან სავაჭროდ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი. ესენი ისე წყალ-წაღებულები იყვნენ, რომ თითონ ლეკებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებული. ამიტომ მათგან ცუდი საქმის გაბედვას არავინ არ მოელოდა; მაგრამ მალე მათ გაამართლეს ქართული ანდაზა: თავ-ჩაღუნული—კუდ-გაბზეკილიო...

ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა თავისს ამხანაგს უთხრა:

— იცი, რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით, მაგრამ რა გამოვიდა? ისევ ისეთივე ლატაკები ვართ, როგორც ვიყავით, ისევ ისეთივე ძაღლური ცხოვრება გვაქვს, როგორიცა გვქონდა. სხვაფრივ-კი რო მოვიქცეთ, ერთბაშად გავმდიდრდებით და მოვრჩებით ამდენ ვაივაგლახსა და ლაწლაწსა.

— როგორ? ჰკითხა ამხანაგმა.

— ზურაბ ქართველაძე ხომ ძლიერ მდიდარია? ჰკითხა ამან.

— ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის სიმდიდრე? უპასუხა იმან.

— გვარგებს, თუ ჭკუით მოვიქცევით. ამ მდიდარს კაცს ხომ გაგიჟებით უყვარს თავისი ერთად-ერთი ქალი?

— უყვარს, მაგრამ რა გამოვიდა მანდედგან?

— ის გამოვიდა, რომ თუ ჩვენ იმ ბავშვს როგორმე მოვიტაცებთ და ტყვედ წავიყვანთ დაღესტანში, როგორ გგონია, ქართველაძე განა თავისს შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდგან დაიხსნას შვილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს.

ამხანაგსაც მოეწონა ეს აზრი და გადასწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ და რა წამს იგდონ ხელში მოხერხებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო, მოსტაცონ ჩუმად ქართველაძეს ქეთო და ტყვედ ვაიყვანონ დაღესტანში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოფელს ვაშლოვანს დასავლეთით ეკრა დიდი, ატეხილი ტყე. ამ ტყის პირად ხშირად სეირნობდა ხოლმე ქართველაძის სახლობა, რადგანაც სახლი ოქვე ახლო ედგათ. ერთხელ ქეთოს გამდელმა საღამო ჟამს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყისაკენ გამოისეირნა და თან ჰყავდა პატარა ქეთოც. ტყეს რო მოუახლოვდნენ, ბავშვმა ხის ქვეშ ჩიტი დაინახა და გაექანა; ჩიტმა ისკუპა და იქით ხეებში გადაფრთხრიალდა. ბავშვიც უკან დაედევნა. ამასობაში ქეთო კარგა შორს წავიდა ტყეში. ბამდელიც უკან მისდევდა. უცებ საიდგანღაც გაჩნდა ლეკი, მივარდა ქეთოს, სტაცა ხელი, მეორე ხელი პირზედ დააფარა და გაიტაცა. ბამდელმა დაყვირება ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს მეორე ლეკმა თავში კეტი დაარტყა და უსულდგმულოდ დასცა მიწაზედ. ბაიტაცეს ქეთო და წაიყვანეს.

მ დ ე ვ ა რ ი.

ქეთოს დედ-მამას ფიქრი არაფრისა ჰქონდა. ეგონათ, მეზობლებში იქმნებიან ჩვენი ქალი და გამდელი და თავისს დროზედ მოვლენო. როდესაც დაღამდა და გამდელი ბავშვით არსად იყო, შეფიქრიანდნენ და მეზობლებში გაგზავნეს მოსაკითხად; მაგრამ აბა რას იპოვნიდნენ. ყველგან უთხრეს, რომ დღეს არც-კი გვინახავს ისინიო. მაშინ შეშინებულმა დედ-მამამ ჩირაღდნებით დაუწყო ძებნა სოფლის გარემოში. დიდხანს ეძებეს და ბოლოს თავს წაადგნენ ტყეში გამდელს, რომელიც მკვდარივით ეგდო ხის ძირას. ლამის სიგრილემ და ხმაურობამ გონში ჩაგდო გამდელი და გამოაცოცხლა. ჯერ ხეირიანად არ გამოკვეულიყო, რომ შეშფოთებულმა და გაფითრებულმა მაგდანმა მიაძახა; ქეთო სადღა არის? ბამდელმა სუსტი ხმით და შესვენებით უამბო, როგორ მოიტაცეს ლეკებმა ქეთო. ამის გაგონება და მაგდანის გულის წასვლა ერთი იყო. ზურაბსაც საშინელი თავ-ზარი დაეცა; მაგრამ ვაჟ-კაცურად თავი შეიმაგრა, მწუხარებას სძლია და დაიძახა: არიქა, მდევარიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელს დროში ყველა ვაჟ-კაცს სრული თოფ-იარაღი ჰქონდა სახლში და გამოცდილი მეომარი იყო, რადგანაც გაჭირვების დროს საქართველოს მეფე ქუდზედ კაცს დაიბარებდა ხოლმე. ამიტომ ზურაბის დაძახების შემდეგ ერთი საათი არ გასულიყო, რომ მისი სახლის წინ იდგა ოცამდინ ვაჟ-კაცი, თავით ფეხებამდინ შეიარაღებული... სწრაფად გამოვიდა იარაღშივე ჩამჯდარი ზურაბი, მიესალმა და გაუძღვა წინ.

ღამე ღრუბლიანი და ძლიერ ბნელი იყო. მასუკან, რაც ლეკებმა ქეთო გაიტაცეს, კარგა ხანმა განვლო. დაღესტანისკენ ტყეებში და მთებში მისდევდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები და მთაზედ სიარული ბნელ ღამეში ძლიერ ძნელი იყო ხამი კაცისათვის. ქეთოს მომტაცმა ლეკებმა ისე იცოდნენ ეს ბილიკები, რომ თვალ-დახუჭულსაც შეეძლოთ მათზე სიარული. ზურაბსა და იმის რაზმს-კი აქეთ თითქმის არ ეცლოთ. ამიტომ ლეკებმა მთელი ღამე განუწყვეტლივ და დაუბრკოლებლივ იარეს, დიდს მანძილზედ გაუსწრეს მდევარს და მოტაცებული ქეთო მეორე დღესვე გადაიყვანეს დაღესტანში. ზურაბ ქართველაძე თავისი ამალით იძულებული შეიქმნა ხელ-ცარიელი და საშინლად დაღონებული უკანვე დაბრუნებულიყო.

ქეთოს ნაიბი ყიდულობს.

ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთს დიდს დაღესტნის სოფელზედ, რომელიც იდო აქეთ ნაპირას, ქახეთის საზღვარს ახლო. ამ სოფელში სცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთის მხარე დაღესტნისა. მას ჰყავდა ცოლად ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟ-კაცურის გამბედაობით და მეტად ნაზი გულით. ესენი იყვნენ დიდი ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაქორწილავნი, მაგრამ შვილი-კი არა ჰყავდათ, და გადაწ-
ყვეტილი ჰქონდათ ვისიმე ბავშვი ეშვილათ.

სალამო ჟამი იყო, როცა იმათ სახლის წინ ლეკებმა ძე-



თო გაატარეს. ნაიბი და მისი ცოლი კარაპანში ისხდნენ. მათ
დაინახეს მიმავალი ორი ლეკი და ერთს მათგანს შეამჩნიეს
ზურგზედ გუდა, რომლიდგანაც ბავშვის თავი და სახე სჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძახეს თავისთან. ლეკები მოწიწებით მოვიდნენ და თავი დაბლა დაუკრეს, როგორც თავისს ბატონს, მბრძანებელსა. ლეკებს ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხეს. ამათ დატუქსვისა ეშინოდათ და ამიტომ მართალი დაუმალეს,—უთხრეს, რომ ეს ბავშვი გზაზედ ტყეში ვიპოვნეთ და წამოვიყვანეთო.

პატარა ქეთო ცალკე დიდიხნის მოგზაურობისაგან და ცალკე შიმშილისაგან ძლიერ მისუსტებული იყო და ძლივს-ღა ახელდა თვალებს. მაგრამ ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელს ბავშვად ხდიდა მას. რა წამს ნაიბმა და მისმა ცოლმა ეს ბავშვი დაინახეს, მაშინვე გული ზედ შეუვარდათ. ნაიბის ცოლმა ჰკითხა ლეკებსა: რა მოგცეთ, რომ ეს ბავშვი ჩვენ დაგვითმოთო?—რა უნდა გვიბოძო ქალბატონო, თუ გნებავთ, ფეშქაში გახლდეთო. ნაიბი ადგა, შევიდა სახლში, გამოუტანა ვეებერთელა ქისა, ოქროებით სავსე, და მისცა ლეკებსა. ქეთო გამოართვა ლეკსა ნაიბის ცოლმა და მაშინვე გულში ჩაიკონა, ლეკებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დედობრივმა ალერსმა მალე მოასულიერა მიბნედილი ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალების შემდეგ ბრიყვის ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება და ზრუნვა სწორედ შვებად ეჩვენა. პირველს ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზედ გულ-ცივად იყო და ხშირად სტიროდა, როცა თავისს დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავისს სოფელს მოიგონებდა. მაგრამ ნაიბის ცოლი და იმისი ქმარი ისეთი სიყვარულითა, მოფერებითა და ალერსით ეჭცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო ლეკ-ქალათ იქცევა.

ბავშვი აწმდგომით სცხოვრობს. ის შეუწყვეტლივ, ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორცითა წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდასა, წინ სვლას და ბედნიერია ამ გრძნობით. ის სრული სიხარულით შეჰხარის ცასა და დედამიწასა, ბუნებასა და ადამიანსა. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არა ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება მკრთალდება და თითქო სრულიად იშლება. აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზედ და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფელად.

ქეთოსაც ეს დაემართა. ნაიბმა და იმისმა ცოლმა ისე შეაყვარეს ქეთოს თავი, რომ თან-და-თან ჩააქრეს მის სახსოვარში ღვიძლი დედ-მამის სიყვარული, მოგონება, სახე. ოკრი-სამი წლის შემდეგ ქეთოს თავის ნამდვილ მშობლად მიაჩნდა ნაიბი და მისი ცოლი; იმათით სცოცხლობდა, იმათით ჰხარობდა. ღვიძლი დედ-მამის კვალი თითქო მთლად წაიშალა მის ბუნებაში. ლეკურმა ენამ ცოტა-ცოტაობით, დღითი დღე შეასუსტა ქართული ენა ქეთოში, დაიჭირა მისი ადგილი და ჩააქრო იგი. ლეკურმა სოფელმა ვაშლოვანის სახსენებელი ამოაგდო მის გულიდგან. ქეთო დიდხანს ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს დანაკლისს: მაგდანის მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა ქეთოს ყურს აღარ ასიამოვნებდა. მაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზედ გვიან. ერთი სიტყვით, აწმდგომი გამეფთა ქეთოს სულში და წარსული ჯერედ მკრთალი გახადა და მერმე სრულიად გააქრო. ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ-ქალად, ქახეთის შვილი დაღესტნის შვილად.

ამ სრულ გალეკებას ქეთოსას იმანაც მოუწყო ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნაიბმა სასტიკი ბძანება გასცა სოფელში: არამც და არამც არავინ არ გაბედოს და ქეთოს ყურს არ გააგონოს, რომ ნაშვილარია და არა ჩვენი ღვიძლი შვილიაო.

ამაო ცდა ქეთოს მამისა.

ას ფიქრობდა და რას სჩადიოდა იმ დროს ქეთოს დედ-მამა? დიდხანს მათ არ იცოდნენ, რა უყვეს ლეკებმა ბავშვი. ზურაბს თავისი ქალი უფრო შუა დაღესტანში ეგულებოდა და იქ აძებნინებდა, რადგანაც მომტაცი ლეკები იქიდან იყვნენ. ამასობაში გავიდა სამი, ოთხი წელიწადი. ბოლოს ერთმა ნაცნობმა ლეკმა მოუტანა ამბავი, რომ ამა-და-ამ ნაიბს შენი ქალი ხელში ჩაუგდია, უშვილებია და ზრდის, როგორც საკუთარ ქალსაო. ზურაბმა შეუთვალა ნაიბს, რომ ეგ ქალი ჩემი შვილია, მოტაცებულია ჩუმად და ოღონდ დამიბრუნე უკან და რასაც მთხოვ მომცემი ვარო. ნაიბმა შემოუთვალა პასუხად, რომ თუ თავდაპირველად მცოდნოდა, რომ ეს ბავშვი შენი ქალია, მე თვითონ დაგიბრუნებდიო, მაგრამ ახლა გვიანლა არისო. მეცა და ჩემ ცოლსაც მზე ამ ბავშვზედ ამოგვდის, მასაც ძლიერ ვუყვარვართ, აქაურობაში გაჩვეულია, თქვენ სრულიად დავიწყებული ჰყევხართ, და ამიტომ ქეთოს ვერ დაგიბრუნებ, თუნდ მთელი ქახეთის სიმდიდრე კარებზედ დამიგროო.

ამისთანა პასუხის შემდეგ ზურაბს შეეძლო თავისი ქალი ღაეხსნა მხოლოდ ძალით, ან რაიმე ხერხით. დარჩენა კი ქეთოსი დაღესტანში აუტანელი იყო მისი დედ-მამისთვის, მით უმეტეს, რომ მაგდანს ქეთოს შემდეგ შვილი აღარ ეძლეოდა. ქართველაძე ბევრჯელ გაემგზავრა დაღესტნისაკენ ოციოდე შეიარაღებული ვაჟ-კაცით ქეთოს მოსატაცებლად, მაგრამ ტყუილად. ნაიბმა კარგა იცოდა წადილი და მეცადინეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი და ამიტომ ყოველთვის გზაში დაახვედრებდა ხოლმე ჩა-
საფრებულს ლეკებს იმისთანა ადგილას, სადაც ერთი ჩასაფ-
რებული ოცსა და ორმოცვაჟ-კაცს გზას შეუკრავდა. სიმრავ-
ლეც ქართველების რაზმისა აძნელებდა შეუმჩნევლად მიახ-
ლოვებას ნაიბის სოფლამდინ.

როცა ამ გზით ვერაფერს გახდა, ზურაბმა ხერხს მიჰ-
მართა: ხმა გააგდო, რომ გულიდგან ამოვიღე ჩემი ქალი და
აღარ მწადიან მოვტაცო დედობილსა და მამობილსაო. ეს
ხმა მივიდა ნაიბამდინაც და მან ჯერ თუმცა ეჭვის თვალით
შეხედა, მაგრამ მერე კი დაიჯერა, რადგან მთელი ორი წლის
განმავლობაში ქართველაძეს მხრივ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.
აქამდის ქეთოს დიდის სიფრთხილით უშვებდნენ კარში, ახ-
ლა კი მაშინდელის დროის ლეკების სხვა ქალებივით თავისუფ-
ლად დადიოდა ერთის უბნიდგან მეორე უბანში თავისს ნაც-
ნობებთან. ეს ყველაფერი ზურაბმა კარგად შეიტყო ნაცნობი
ლეკების შუამავლობით და თავდარიგს სხვა ნაირად შეუდგა.

ქეთოს მამა იტაცებს.

ადგა სწორედ მეათე გაზაფხული მას უკან, რაც ქეთო
მოიტაცეს ლეკებმა. ტყე ხშირად იყო შეფოთლი და
აადვილებდა შეუმჩნევლად მისვლას ნაიბის სოფლამდინ. ზუ-
რაბმა მოიხმო ერთი იქაური ლეკი, დიდი ხნის ნაცნობი და
პურ-მარილით დავალებული, გაიმძღვარა წინ და თან წაიყვა-
ნა მხოლოდ ათი შეიარაღებული ვაჟკაცი. მთელი მანძილი
ისე ფრთხილად გაიარეს, რომ ერთი ლეკი არ დახვედრიათ
გზაზედ. მეორე დღეს საღამო ჟამზედ მივიდნენ ნაიბის სოფ-
ლის პირად და ტყეში მოხერხებულ ადგილას დაბინავდნენ. ლე-
კი ჩუმად წავიდა იმ ღამეს თავისს სოფელში, ყველაფერი გაი-
გო და დილა სისხამზედ მეტად საამო ამბავი მოუტანა. ქეთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ყოველ დილით ტყის პირად აივლიდა ხოლმე ერთის თავისი მეგობარი ქალის სანახავად. ეს ქალი იყო შვილი წინანდელი მოხუცებული ნაიბისა, რომელიც ამას წინად გადაცვლილიყო. ემაწვილი ქალი ძლიერ მწუხარე იყო მამაზედ და ამიტომ ქეთო ყოველ დღე დადიოდა იმის სანუგეშებლად.

ამოვიდა თუ არა მზე, ზურაბ ქართველაძე მივიდა გზის პირად, ამოეფარა ხეების ჯგუფსა და დაიწყო ცქერა იქიდკენ, საიდგანაც უნდა ქეთოს გამოევლო. ქაროველაძის პირდაპირ გზის იქით ამართული იყო დიდი სერი, რომელიც იმ სოფელს ჰყოფდა ორად. ქვემო და ზემო უბნად. ქეთოს ქვემო უბნიდან უნდა ამოევლო ამ სერსა და ტყეს შუა და ასულიყო ზემო უბანში. ლოდინში კარგა ხანმა გაიარა. ისე რომ ზურაბმა იფიქრა, ვაი თუ დღეს ქეთო სულაც არ ფიქრობდეს ზემო უბანში ასვლასაო. მაგრამ აგერ შორს გამოჩნდა ქალი, ახლად შეღერებული, თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული. ზურაბი თვალებად გადაიქცა და გულის ცემამ მოუმატა. ქალი თან-და-თან მოახლოვდა და ზურაბი ისე შეაცქერდა, თითქო თავისი მშიერი თვალით მისი შეჭმა უნდაო. ქეთოს ცოტა იერი შესცვლოდა, გაზდილიყო ბევრად დიდი თავისს ხანზედ, მაგრამ ფერი და პირისახე სულ პატარაობისავე, უწინდებური შერჩენოდა. მამის გული უზომო სიხარულით აივსო, როცა თავისი ქეთო ისევ ქართველ ქალად იცნო. ქეთომ მიატანა იმ ხეებს, რომელთაც ზურაბი ამოჰფარებოდა. ამან იდროვა და წინ გადაუდგა ფრთხილად, რომ არ შეეშინებინა. ქეთო შეკრთა, დაფრთხა და შველივით განზედ გახტა.

— ნუ გეშინიან, შვილო, შენი მამა ვარ, მოვედი აქა, რომ დედასთან წაგიყვანო, წავიდეთ შინა,—უთხრა ზურაბმა ტკბილი მამობრივი ხმით. ქეთო შიშით ისმენდა უცნაურს სიტყვებსა და ვერ გაეგო რა უნდოდა მისგან ამ უცხო კაცსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბმა იფიქრა, თუ ლაპარაკში დრო დავკარგეო, ვინმე შეგვასწრობს და საქმე წახდებაო; ამიტომ სწრაფად მივიდა ძეთოსთან, ფრთხილად დაავლო ხელი და გაიტაცა ტყისაკენა. ძეთომ შექნა საშინელი წივილ-კივილი. სოფელში გაიგონეს

F 583/2
FS 4127/1

ეს წივილ-კივილი; მაგრამ ვისი იყო, ან საიდგან მოდიოდა, პირველ ხანებში ვერ შეიტყეს. სოფელი შეჩოჩქოლდა და რამდენიმე კაცი წავიდა ნიბთანა. ეს სხვაგან იყო და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზედ ვერ შეატყობინეს. როცა უთხრეს ეს ამბავი, საშინ-ლად შესწუხდა და სთქვა: უთუოდ ქალი მომტაცა ქართველაძემაო, და მდევარი დაიბარა. ფიცხლავ შეიკრიბა ოც-და-ათი შეიარაღებული ვაჟკაცი. ვაშლოვანისკენ სამი გზა მიდიოდა. მდევარნი ნაიბმა სამად გაჰყო. ათი ვაჟკაცი გაგზავნა ერთს გზაზედ, ათი მეორეზედ და ათიც თვითონ გაიდევნა მესამე გზაზედ. სამივე რიგმა მდევარმა თითქმის ვაშლოვანამდე უწია, მაგრამ ზურაბის და ქეთოს კვალი ვერ მიაგნეს; ისინი თითქო მიწაში ჩაძვრნენ და გაჰქრნენ. საქმე ის იყო, რომ ზურაბმა თავისი ქალი ვაშლოვანისკენ როდი წამოიყვანა, რადგანაც იცოდა კარგად, რომ მდევარი აქეთკენ დაედევნებოდა. ის დაადგა ჩრდილოეთის გზასა, რომელიც ქახეთის ზემო სოფლებისაკენ მიდიოდა შორს მოვლა არჩია, რომ შინ მშვიდობით მისულიყო; მაგრამ ვაი ამ მშვიდობას.

ქეთო საშინლად იტანჯება.

ომ პირველ ხანებში ქეთო ვერც იცნობდა თავისს მამასა და მწუხარე იქნებოდა, ამის ფიქრი ჰქონდა ზურაბსა. ხოლო ამასთან დარწმუნებული იყო, რომ ქეთო მალე მოვიდოდა გონსა, იცნობდა ჯერ თავისს მამასა, მერე დედასა, თავის ბავშვობა მოაგონდებოდა და მოიმხიარულებდა; მაგრამ საშინლად მოსტყუვდა. ქეთოს მწუხარებას მთელის მოგზაურობის დროს საზღვარი არა ჰქონდა. მას განუწყვეტლივ ლაპა-ლუპით სდიოდა ცრემლები თვალებიდგან და ისე ოხრავდა თითქოს ლამობს გულ-ღვიძლი თან ამოატანოსო. მამა საშინლად იტანჯებოდა თავის ქალის ამისთანა მდგომარეობით; სცდილობდა როგორმე გაექარვებინა მისი ნაღველი, მაგრამ ტყუილად. ყოველი მისი ალერსი ქეთოს მწუხარებას უფრო უმატებდა. ის უყურებდა ზურაბას, როგორც თავისს მოსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხლე მტერს, რომელმაც მოაშორა საყვარელს დედ-მამას, ნა-ნატრელს სამშობლოს და სადღაც მიჰყავს ტყვედ. ამიტომ ყოველი მისი ტკბილი სიტყვა და თანაგრძობა ლახვარივით ესობოდა გულში. ზურაბს ისღა ანუგეშებდა, რომ ეგება შინ მისვლამ მოიყვანოს ქეთო გონსა, იცნოს დედა, თავის კარმიდამო, სოფელი და ჩვენსკენ მოიბრუნოს გულიო.

ამ აზრით იყო ზურაბი დაიმედებული, როცა თავისი სახლის კარები შეაღო, შეიყვანა შიგ ქეთო და თავის ცოლს მხიარულად უთხრა: აი, მაგდანა მოგიყვანე შენი ქეთო. სიხარულისაგან გატაცებული მაგდანი გაექანა შვილისაკენ, მაგრამ სიმხიარულე სიმწუხარედ გადაექცა, როცა დააცქერდა თავისი შვილის სახეს, რომელზედაც გამოუთქმელი ტანჯვა იხატებოდა. მაგდანმა მხიარულად ჩაიკრა გულში ქეთო, უნდოდა გაექარვებინა მისი მწუხარება, მაგრამ ამაოდ. ქეთო ყინულივით ცივად, ქვასავით უგრძნობლად იყო და არავითარი გავლენა არ იქონია მასზედ მაგდანის მხურვალე დედობრივმა მიგებებამ და ალერსმა. არა, იქონია, მაგრამ სრულიად წინააღმდეგი მოსალოდნელისა. მაგდანის ალერსმა ცოცხლად თვალ-წინ წარმოუდგინა ქეთოს მისი დედობილის, ნაიბის ცოლის სახე და ალერსი, ვარამი უფრო კიდევ გაუძლიერდა და მდუღარე ცრემლის ნაკადული გადმოსქდა თვალებიდგან.

— შენი მშობელი დედა ვარ, შვილო! ესეც შენი ღვიძლი მამაა, ეუბნებოდა მაგდანი ქეთოსა... აი სახლი, რომელშიაც შენ დაიბადე და დაცუცუნებდი პატარაობის დროსა, აი შენი პატარა აკვანი, რომელშიაც იწექი, აი შენი საყვარელი ბალჩა, რომელშიაც დილიდგან საღამომდის იჯექი. ქაგრამ ქეთოს აქაურობისათვის არც თვალი ჰქონდა და არც ყური. მისი გრძნობა და გონება მთლად, განუწყვეტლივ, შეპყრობილი იყო ულრმესი დარდითა და ვარამითა. მაგდანი მაინც იმედს არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკარგავდა, რომ ძეთო დღეს, თუ ხვალ მოიგონებდა თავისს პატარაობას იცნობდა მშობლებს და დაუბრუნდებოდათ მათ.

ბავიდა რამდენიმე კვირა და ეს იმედი დედ-მამას არ აუსრულდა. ძეთო თითქმის არას სჭამდა, სმითაც ცოტასა სვამდა, ღრმად ოხრავდა, ხშირად სტიროდა და ღამითაც ძილი, მოსვენება არა ჰქონდა. ჩამოხმა, გაყვითლდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ის იჯდა ტახტზედ ჩუმად, უმეტეს ნაწილად თვალებ-დახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭული და მისი გონება ჰფრინავდა იქ დაღესტანში ნაიბთან და იმის ცოლთან, თავის ტოლ-ამხანაგებთან და იქაურ სოფელთან. რაც გარეშემო ერტყა, ყველა ეუცხოვებოდა ყველას ითვალწუნებდა, ყველა თავისს მტრათ მიაჩნდა, ყველა ეჯავრებოდა, სძულდა. ბევრ-გვარი ხერხი იხმარეს, რომ მოეგონებინათ როგორმე პატარაობა. დედამ რამდენჯერმე მიიყვანა ტყეში სწორედ იმ ადგილას, სადაც მოიტაცეს, მიიყვანა სალამოს იმ ჟამს, როდესაც მოიტაცეს, მიყვანა წყაროს თავზედ სადაც ქეთო ხშირად იჯდა ხოლმე თავის გამდელთან და უყურებდა როცა სოფლის დედაკაცები კოკებს ავსებდნენ, იკიდებდნენ მხარზედ და მიჰქონდათ,—აჩვენა ყველა მეზობლების ქალები, ქეთოს ტოლები, რომლებთანაც ის პატარაობისას ხშირად თამაშობდა, დაიბარა მის გამდელი სხვა სოფლიდგან, რომ ეგები ის მაინც ეცნო, აჩვენა მისი დედოფლები, რომელიც ყუთში მთლად შენახული ჰქონდა, რამდენჯერმე მიაქცია ქეთოს ყურადღება ეკკლესიის ზარის რეკვასა, რომელსაც პატარაობისას ქეთო ტაშის კვრას აყოლებდა; მაგრამ ვერც ერთმა ღონემ ვერ გასჭრა.

დედ-მამამ ქეთოს შეუკერა ისეთი მშვენიერი ქართული ტანისამოსი, რომ ყველა ყმაწვილ ქალს თვალი ზედ დარჩებოდა; მაგრამ ქეთომ ახლოც არ მიიკარა და კიდევ უფრო შეიყვარა ამის შემდეგ თავისი ლეკური ტანისამოსი...

ბოლოს ერთმა მეზობელმა უთხრა მაგდანასა: ქეთო შენ ძლიერ გგავს, სულ პირ-წავარდნილი დედაა. დადექ თქვენი დიდი სარკის წინ და დაიყენე გვერდით ქეთო. ის ჩაიხედავს სარკეში, შეადარებს ორს სახესა, თავისსა და შენს სახეში დიდს მსგავსებას ნახავს და იქნება მაშინ გეშველოთო. მაგდანმა ესეც სცადა; მაგრამ ამან ქეთო უფრო გააოცა, როგორც უცნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურმა ქცევამ მაგდანისამ. სახეებს ხეირიანადაც არ შეხედა და მსგავსებას ხო სრულიად ვერ შეამჩნევდა.

ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდგან ეცლებოდა. შავადმყოფოდ ჭკნდებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილი-ღა ედო.

— არა, მე ველარ ვუცქერ ამ ბავშვის ამდენ ტანჯვასა და წვალებასა; თუ რამდენისამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზედ და ჩემი ხელით ავუყვან ნაიბსა და იმის ცოლსა. ეტყობა, ღირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შეუყვარებიათ თავი ჩვენი ღვიძლი შვილისათვის, უთხრა ზურაბმა თავის ცოლს მაგდანსა.

ხოლო მაგდანი ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა, და მაზედ იყო ისევ თავისს ახლო დაემარხა თავისი ერთად ერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელ-მეორედ და სამუდამოდ დაღესტანში.

იავნანამ რა ჰქმნა.

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. პირველსავე რიცხვში ზაფხულურად მოიღრუბლა და გაჩნდა ჭექა-ქუხილი. საღამომდის იდინა ხშირმა და გამაცოცხლებელმა წვიმამ. საღამოზედ-კი ისე მოიწმინდა ცა, რომ ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არსად იყო. ქამარა მთლად ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოიჭედა. დატრიალდა მეტად შეზავებული ჰაერი. უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ ქეთოს იმ ღამეს მშვიდობიანად ეძინა. მეორე დღეს ადგა ცოტა მოღონიერებული.

შეუდარებელი დილა იყო: არე-მარეს კაშკაშა მზისაგან თავს დასდიოდა მთელი შადრევანი ბრწყინვალე სინათლისა და ამ სინათლეს მცენარეებზედ ათას ფრად აებჭყვრიალებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის ნამი. ტყე სავსე იყო ფრინველების გამაცოცხლებელი ჟივილ-ხივილით. ქართველაძიანთ ბაღში ვარდის კოკრები საამურად გადაშლილიყო და გარეშემო მოეფინა გულ-წამტაცი სუნელება. ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბულბული, რომელიც იქავე ხეზედ მოთავსებულიყო. ბუნება ხაროობდა, დღესასწაულობდა, თითქოს ათასს ბედნიერს ქორწილს ერთად იხდისო.

ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარმისა და დარდისა. შვება მისცა მან ქეთოს ნაღვლიანს გულსაცა, და სახეზედ მას აშკარად დაეტყო შემცირება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდის მაჯლაჯუნასავით აწვა მის გულსა და გონებას და ნებას არ აძლევდა გარემოცულ ცხოვრებაზედ დაფიქრებულიყო. ამასთან ქეთომ პირველად დაიწყო ფიქრი იმაზედ, რისთვის და რად მიჩვენებენ ამდენ სიყვარულსა უცხო ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარეობაზედაო.

დედამ ადვილად შეამჩნია ქეთოს ეს სანუგეშო ცვლილება და იმედი მიეცა. ცალკე ამ იმედმა და ცალკე მშვენიერმა დილამ კარგ გუნებაზედ მოიყვანა მაგდანი და მან სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათის წლის დუმილის შემდეგ. მაგდანი ფანჯარასთან იჯდა, ქეთო იყო მოთავსებული პატარა ტახტზედ ოთახის კუთხეში. იავნანას მაგდანი ჯერ დაბლა ხმით, ღიღინით ამბობდა, მერმე-კი თავისი ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დამღერა, მაღლა აუწია. პატარა ხანს უკან ისე, უნებლიედ, გაიხედა ქეთოსკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზედ აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღასაც იგონებდა და ვერ-კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვიძებდა, მაგრამ ვერ-კი გამოელვიძა. ზონების ძირიდგან რალაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქასა, მაგრამ ზევიდგან კეც-კეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ

მაღლა ამოსვლასა. მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავისს ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამ გვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანი თავისს ქეთოს სიპატარავის დღეებსა. მაგდანის ხმამ ეწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად, და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელნი ნაშთნი, საგონებელნი. მაგდანი თან ხმას აძლევდა მომხიბლავს ძალას და

თან ქეთოს შესცქეროდა უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით. ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის პირი-სახესა და მღელვარებით სცდილობდა ამ სახეზედ ამოეკითხნა რაღაც დიდი საიდუმლო. და კიდეც ამოიკითხა. ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა და პირი-სახიდგან მთლად გადეყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ღრუბელი, განსაზღვრული სხივის ნათელი მოეფინა სახეზედ, და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზედ ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდგან, დაიძახა სანატრელის ხმით: „დედავ!“ მწრაფლ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით

და მხურვალედ დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი იყო სიხარულისა, შვებისა, ლხენისა.

პატარა ხანს უკან ზურაბმაც შემოაღო კარები. ქეთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლდა დედის ხვევნიდგან, მიეგება შემოსულს, დაიძახა: „მამა!“ და მოეხვია.

შემდეგ გაბრუნდა დედისაკენ, წაავლო ხელი, გაიყვანა მეორე ოთახში, დაიყენა თავისს გვერდით დიდი სარკის წინა, სიყვარულით გადაავლო თვალი; მაგრამ რაღაც აზრი შეუშალა. სწრაფად მოშორდა სარკესა, შეირბინა მეორე ოთახში, გააღო ყუთი, ამოიღო თავისი ახალი ქართული ტანისამოსი და ლეკურის მაგივრად ჩაიცვა. შემდეგ ისევ მიიყვანა გაოცებული დედა სარკესთან, დაუდგა გვერდით, შეადარა სახეები, აშკარად დაინახა, რამდენად ჰგავდა დედას, მიუბრუნდა მას, ჩამოეკიდა ყელზე და ხელ-ახლად დაუწყო კოცნა. უწინ ამისთანავე მოქმედებამ მაგდანისამ გააოცა, ახლა კი იგივე მოქმედება თვითონ ჩაიდინა. მერე დედას აახდევინა დედოფლების ყუთი და სიყვარულით მიეალერსა თავისს უწინდელს მეგობრებსა.

ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და ძეთოს სარკესავით გადაეშალა თვალ-წინ თავისი სიპატარავის დრო. აქამდის ის დაჰყავდა დედას აქეთ-იქით ძალა-უნებურად, ახლა კი თვითონ ძეთო მოსვენებას აღარ აძლევდა დედასა და მიჰყავდა ხან ბაღჩაში, ხან წყაროს თავზედ, ხან ტყეში და სოფლის არე-მარე სულ შემოიარა. მოიგონა ქართული ენაც, თუმცა სიტყვები ბლომად აკლდა, ლაპარაკის დროს ჩერდებოდა, ან ლეკურს სიტყვებს ურევდა და ამ დროს დედა ქართულს სიტყვებს ასწავლიდა.

აღმოჩნდა, რომ პირველის წლების ჩაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ წაშლილიყვენ ძეთოს გონებაში, თურმე ღრმად ეძინათ, დამარხულნი იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია დამარხული მიწაში, და ზევიდგან მათ ეფარათ მთელის ათის წლის ნანახი და ნაცადი დაღესტანში ყოფნის დროსა. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა ჩაბეჭდილებას, სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი ჩაბეჭდილების მოხდენა ძეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშო სიმღერამ „იავნანამ“, რომელიც ყველაზედ უფრო ღრმად ჰქონდა ძეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ყოველი ვაშლოვანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გახარებული იყო ძეთოს გონზედ მოსვლით, მოდიოდნენ და ულოცავდნენ მაგდანსა და მის ქმარსა და შეჰხაროდნენ ძეთოსა. ძართველაძის სახლში ტრიალებდა იმისთანა ძლიერი სიხარული, რომელსაც ძრისტეს დროს გამოივლიდნენ ხოლმე ისინი, ვისაც მაცხოვარი მომაკვდავს მოურჩენდა, ან მკვდარს აღუდგენდა. ამ ძლიერს სიმხიარულეს სწორედ შეჰფეროდა და ბანს აძლევდა ხშირი სიმღერა მაგდანისა. როგორც დიდ ხანს უწყლოდ ყოფილი შველი ხარბად ეწაფება წმინდა წყალსა და გაძღომა მალე არ ეკიდება, ისე ძეთო, მთელს ათს წელიწადს მოკლებული თავის უსაყვარლესს სიამოვნებას, გაუმაძღრად ეწაფებოდა დედის სიმღერას და მაგდანს მოსვენებას არ გძლევდა. ერთს ხმას რომ გაათავებდა მაგდანი, ახლა მეორეს ათქმევინებდა, მერმე მესამეს, მეოთხეს. ხშირად მაგდანი ეტყოდა ხოლმე: გენაცვა, შვილო, ცოტა დამასვენე, თორემ არაქათი აღარა მაქვსო. მაგრამ ძეთომ უებარი წამალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა ამ დალალულობისა: მხურვალე ხვევნა და კოცნა დედისა. ქეთო თანა სტკბებოდა დედის მშვენიერი სიმღერით და თან თვითონაცა სწავლობდა სიმღერასა.

ქეთო და მისი დედობილ-მამობილი.

ერთხელ, როდესაც ქეთომ გული იჯერა ახალი ცხოვრებით, ჰკითხა თავისს დედასა: დედილო, გენაცვა, არ შეიძლება, რომ დაღესტანში მოკითხვა ვისიმე პირით შევთვალო?

მაგდანს ეს სიტყვა არ ესიამოვნა და შეკრთა.

— ფიქრი ნუ გაქვს, დედა! შვილებრივი სიყვარულით უთხრა ქეთომ. შენ და მამაჩემი მიყვარხართ, როგორც ღვიძლი მშობელნი, იმათ კი პატივსა ვსცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელთა. ისინი რომ არა ყოფილიყვნენ, ვინ იცის ვის ხელში ჩავარდნილიყავ და რა მომსვლოდა.

მოკითხვა შეუთვალეს ნაიბსა და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცების პირით და ძღვნადაც გაუგზავნეს ჩინებული კახური ღვინო, რომელსაც მაშინდელი ლეკები კახელებზედ ნაკლებად არ ეწყობოდნენ.

ზაფხული გადიოდა, დედა ატყობდა, რომ ქეთოს ძლიერ უნდოდა ნახვა თავისი დედობილ მამობილისა; მაგრამ არ კი ამბობდა ამასა. ერთხელ მაგდანმა უთხრა ქეთოსა: იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? ეხლა რთველი ახლოვდება, დაღესტანში ვენახები არ არის და რთველი იქ არ იცის. მოდი რთველში მოვიწვიოთ შენი დედობილ-მამობილი და ვასიამოვნოთ; სიკეთეს გადახდა უნდა. მადლობის ნიშნად ქეთო დედას მხურვალედ გადაეხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაიბსა და იმის ცოლს ძლიერ უნდოდათ ქეთოს ნახვა. ამიტომ რთველში მოწვევამ გაახარა და დანიშნულს დროზედ ეწვივნენ თავისი შვილობილის დედ-მამასა. დედ-მამის ნება-დართვით ქეთო თავისს დედობილ-მამობილს ლეკური ტანისამოსით მიეგება. ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ერთად ხედავდა ოთხს ძვირფასს თავისიანს, რომელნიც გულითა და სულით უყვარდა.

ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ. მაგდანმაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი და ამიტომ ყოველ შემოდგომაზედ მათი რთველში მოწვევა წესად დასდეს. ეს წესი არ შეცვლილა მასუკანაც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ქეთო გათხოვდა დედის სამშობლოში და ჯვარი დაიწერა ერთს ღირსეულს ქართლელს ვაჟ-კაცზედ. ყოველს ენკენისთვეში ქართველაძეს ქართლიდგან ეწვევოდნენ ხოლმე ქალი და სიძე, დაღესტნიდგან ნაიბი თავის ცოლით და ამალით. არა გვგონია, რომ ვისმე თავისს სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებით და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო.

ქეთოს ბედნიერება.

აგრამ განა მარტო რთვლობის დროს იყო ქეთო შვებითა და ლხენითა? არა, სხვა დროსაც.

ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო. ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო. სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმდიდრესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავებიც შეიძლება უდროოდ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანათებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისაო.

ქეთოს დედისაგან დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გული და ამ გულს ძლიერ მოუხდა იშვიათი მისი თავ-გადასავალი. ამ თავ-გადასავალმა ძლიერნი მოძრაობანი გამოაცდევინა ქეთოს გულსა და ავარჯიშა იგი. ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედ-მამის სიყვარულზედ აღიზარდნენ, მერე ძლიერ ჯავრზედ, რომელიც გამოაცდევინა მას მოტაცებამ ლეკების მიერ, შემდეგ დედობილ-მამობილის სიყვარულზედ, მასუკან ფრიად ღრმასა და ხანგრძლივს ნაღველზედ, რომელიც მოჰყვა მამისაგან მოტაცებასა, მას შემდეგ სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაც-მოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი. ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის. მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც,— და რადგან სიყვარული შობს სიყვარულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები თითქო ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტს ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს. ქეთო, თავისი მოსიყვარულე გულით, გარშემო ჰფენდა ლხენასა და შვებასა, როგორც ვარდის აყვავებული ბუჩქი ჰფენს თავისს გარშემო საამურს სუნელებასა, და როგორც ამ ბუჩქს ყველა შეჰხარის, ყველას უყვარს, ისე ყველა შეჰხაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესი-ღა ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზედ?

ღმერთმა თქვენს გულშიაც აღზარდოს, ჩემო ყმაწვილნო მკითხველნო, მოყვასთა ჩაუქრობელი სიყვარული, გაგაძლოთ მათი სიყვარულით თქვენდამი და ძეთოსავით ბედნიერად გაცოცხლოთ დიდხანს...

შეცდომის გასწორება.

გვერდი	სტრიქონი	არის:	უნდა იყოს:
19	4 ქვევ.	ქაგრამ	მაგრამ
22	13 ზევ.	მაზედ	მზად
33	2 ქვევ.	სიმდიდრესა	სიმრთელესა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. **ბაბაშვილისა** . . . 30
სვიის გვირგვინი, მოთხრობა შმიტტისა, თარგმ. **სალომე შუბა-**
თელისა 15
სხივი წარსულისა. ისტორიული ამბავი, **ი. ზოგებაშვილისა** . 5
ყვავილთა შორის, გადმოღებული **სალომე შუბათელისა**. . 45
შექსპირის დრამები, გადმოკეთებული **სამსონ ყიფიანისაგან** . 20
ცა და დედამიწა, ივანოვისა, თარგ. **დ. ბიორგობიანისა**. . 20
წითელი ფარანი, თარგ. **ბ. ანდრონიკაშვილისა** . . . 15
ხუმარა სპილოები, სურათებიანი გამოცემა, **ბ. ტატიშვილისა** . 10

დიდებისათვის:

ახალი ვარიანტი წმ. **ნინოს** ცხოვრებისა, გამოცემული **ეკ. თაყაი-**
შვილის მიერ 40
ამოდის ნათდება და სხვა მოთხრობანი, **ვაჟა-ფშაველასი** . 15
ახუნდი, პოემა მისივე. 5
გეომეტრია, მეორე ნაწილი, **მიხეილ ყიფიანისა** . . . 20
ვეფხის ტყაოსანი, მრავალი ხელოვნური სურათებით და მშვე-
ნიერი ყდით, გამოცემული **ბიორგი ქართველიშვილის** მიერ. 10.— „
ვეფხის ტყაოსანი, 4 პორტრეტით და 21 სურათით მეცხრამეტე
გამოცემა, **დ. ქარიჭაშვილის** წინასიტყვაობით და ვრცელის ლე-
ქსიკონით . . . . . „ — 60
წიგნის ისტორია, შედგენილი **დ. ქარიჭაშვილის** მიერ „ — 20
ჩარლზ პარნელი, ბიოგრაფია რუსულიდან **ვ. ლ**—ძესი „ — 25
თ[illegible]ებანი **რ. ერისთავისა** II ტომი . . . „ — 20
[illegible]ებანი **ვაჟა-ფშაველასი** . . . . 1 — „
თ[illegible]ლებანი **ალექსანდრე პუშკინისა** . . . „ — 50
ლ[illegible]ები **ნ. ბარათაშვილისა** . . . „ — 40
რუხი მგელი, მოთხრობა **ბ. წერეთლისა** . . . „ — 15
სალამური, სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზედ **ზ. ჩხი-**
კვაძის მიერ . . . . . „ — 25
ქილილა და დამანა, ძველი წიგნი . . 3 — „
ქართული სახალხო სიმღერები, **ი. ქარგარეთელისა** . „ — 50
შინაური საქონელი და მისი მოვლა, **ივ. როსტომაშვილისა**. 5
მთიულეთი 1804 **წ.**, ისტ. ამბავი, **ალ. ფრონელისა** . „ — 40
საქართველოს ისტორია, **ვახუშტისა** . . . 2 — „
ისტორიული ნარკვევი, **ალ. ჭყონიასი** . . . 1 — 50
ახალი ქართული გრამატიკა, **დიმიტრი ყიფიანისა**. . 1 — 20

1122

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილის წიგნები.

სახალხო და საუმაწვილო:

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა ცხრა სურათით, გამოცემა მეოთხე, 11,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ისტორიული ამბავი, 1200 ცალი. ფასი ორი შაური.

ხხივი წარსულისა, ისტორიული ამბავი, 2400 ცალი. ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი, ისტორიული ამბავი, გამოცემა მესამე, 3600 ცალი. ფასი შვიდი კაპ.

თავდადებულნი ქართველნი, სურათებიანი გამოცემა, 8600 ცალი. ფასი შვიდი კაპ.

მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები ფრინველები, სურათებიანი გამოცემა, 2400 ცალი. ფასი [illegible] აბაზი.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი ორი სურათით. ფასი ერთი შაური.

კუნწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1200 ცალი. ფასი ორი აბაზი.

სახელმძღვანელონი:

დედა-ენა, მეცხრამეტე გამოცემა, 314 ათასი. ფასი ყდით ორი აბაზი.

გუნების-კარი, მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი. ცალი ყდით ოთხი აბაზი.

კოკორი, გამოცემა მეცამეტე, 70 ათასი. ფასი ორი შაური.

კონა, მეხუთე გამოცემა, სურათებით, 7,200. ფასი ორი აბაზი.

გურჯი ერეკვნებისა, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა, 2400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.